შეთანხმება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და შპს „მაგთიკომ"-ს შორის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2014 წლის 29 იანვარს გაფორმებული №11 ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე

თბილისი

„05" 02 2014 წელი

ერთის მხრივ **სახელმწიფო აუდიტის სამსახური** (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი გენერალური აუდიტორის მოადგილის გიორგი ლაცაბიძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „მაგთიკომი"** (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის გია კოშორიძის სახით,

ვმოქმედებთ, რა სახელმწიფო აუდიტის სამსახურასა და შპს „მაგთიკომ"-ს შორის 2014 წლის 29 იანვარს გაფორმებული №11 ხელშეკრულების 4.2 და 7.6. პუნქტების და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 636-ე მუხლის შესაბამისად,

ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეწყდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და შპს „მაგთიკომ"-ს შორის 2014 წლის 29 იანვარს გაფორმებული №11 ხელშეკრულება.
2. შემსყიდველმა უნდა ააანაზღაუროს სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და შპს „მაგთიკომ"-ს შორის 2014 წლის 29 იანვარს გაფორმებული №11 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების საფასური, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
3. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან.
4. წინამდებარე შეთანხმება ხელმოწერილია ორი თანაბარი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და შპს „მაგთიკომ"-ს შორის 2014 წლის 29 იანვარს გაფორმებული №11 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და შეთანხმების თითოეული ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების ხელმომწერ მხარეებთან.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
გიორგი ლაცაბიძე	**გია კოშორიძე**
გენერალური აუდიტორის მოადგილე	დირექტორი
მ.ა.	მ.ა.